



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 289

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, „ავტოქარხნის“ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისათვის (კოორდინატები: X-305245,4 Y-4680667,7; X-305246,5 Y-4680657,2; X-305139,9 Y-4680669,4; X-305132,3 Y-4680657,9) და-მმა მარდჟორი და ოლივერ უორდროპების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობის საფუძველზე:

**მუხლი 1.** მიენიჭოს ქალაქ ქუთაისში, „ავტოქარხნის“ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩას (კოორდინატები: X-305245,4 Y-4680667,7; X-305246,5 Y-4680657,2; X-305139,9 Y-4680669,4; X-305132,3 Y-4680657,9) და-მმა მარდჟორი და ოლივერ უორდროპების სახელი.

/სიტუაციური რუკის ქალაქის ვერსია თან ერთვის/

**მუხლი 2.** დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ქუჩის სახელდებლასთან და ნუმერაციასთან დაკავშირებით, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება

**მუხლი 3.** ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული განკარგულებიდან გამომდინარე განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ქმედებები.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /მისამართი: ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** განკარგულება ამოქმედდეს 2016 წლის 27 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ბექა ყანჩელი